

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rustavelitheatre.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 29 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

www.rustavelitheatre.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები


2011 წლის 29 ივნისს პროექტ - "საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგის" ფარგლებში IDFI-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაგეგმილი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rustavelitheatre.ge) ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის განხორციელება. აღმოჩნდა, რომ ხსენებული ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსი არ ექვემდებარება ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის შეფასებას, რადგანაც ის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საპრეზენტაციო ტიპის ვებ-გვერდს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ IDFI-იმ პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ფარგლებში აღნიშნული საჯარო დაწესებულებიდან საკმაოდ დიდი მოცულობის საჯარო ინფორმაცია მიიღო რაც ერთის მხრივ ხაზს უსვამს რუსთაველის თეატრის, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობას, ასევე ამ ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მნიშვნელობასაც.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-გვერდზე ნავიგაცია საკმაოდ გართულებულია როგორც პროგრამული კოდის გამართულობის, ასევე ვებ-გვერდის ფუნქციონალურობის მიხედვით. მენიუს პუნქტებზე ზოგჯერ შეუძლებელია „მაუსის“ დაჭერა, რადგან სხვადასხვა ეფექტები მნიშვნელოვნად „ამძიმებს“ ვებ-გვერდს:



➤ ძიება

რთულია ძიების ნაკლოვანებებზე საუბრი, რადგან ასეთი ფუნქცია ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

➤ მარტივად აქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის დიზაინი არც თუ ისე მორგებულია ვებ-დიზაინის თანამედროვე ტენდენციებს, გარდა ამისა ვებ-გვერდის ფერთა გამა და სტრუქტურა არ იძლევა ინფორმაციის მარტივად აქმის საშუალებას:

ENG

- მთავარი
- აქტუა
- თეატრი
- მომსახურება
- კონტაქტი

ნაღიროზის სეზონი (პრემიერა) 7 03 ლ

რობერტ სტურუას "ქარიშხალი"

2 ივლისს 13:00 და 17:00 საათზე რუსთაველის თეატრის უსასურველმოკლელ სიყვარულზე გაიმართება რობერტ სტურუას

დღიური სტენა

დასასწავლი: 19:45



ნაღიროზის სეზონი

გალკრია ვიდეო ინფო პილიოპი

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდზე საკონტაქტო ფორმა არსებობს, თუმცა გაურვეველია გამართულად მუშაობს თუ არა:

RUSTAVELI THEATRE

re
 726 868
 Department
 33 818
 tment
 33 818
 tration
 31 894
 84 051
 ., Tbilisi, 0108, Georgia

your name
 e-mail
 your message


CLEAR SEND

Fayles
 HOT LINE
 2726868
 follow us on
 twitter
 become fan on
 facebook

ინფორმაციის შევსებისა და გაგზავნის შემდეგ არ იწერება არანაირი შეტყობინება. აუცილებელია ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის ინფორმირებულობა წარმატებული გზავნილის შესახებ, მაგალითად ისეთი შეტყობინებით როგორცაა: „წერილი წარმატებით გაიგზავნა“ ან სხვა.

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი ადგილები, რომელიც სავარაუდოდ ტექსტისთვის არის გათვალისწინებული:




სიცარიელეს სჯობს, საერთოდ გაქრეს ასეთი ველები და მომხმარებელს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ვებ-გვერდი ნაკლოვანია და არასრულყოფილი.


➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის ჩატვირთვა საკმაოდ რთულია, მისი პროგრამული კოდი არ არის ოპტიმიზირებული იმ დონემდე, რომ მინიმალური რესურსების მქონე კომპიუტერისთვის

ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ვებ-გვერდი. პირველი შეცდომა რაც აშკარად ჩანს, არის „სლაიდ შოუს“ ჩატვირთვის სირთულე:




მისი ეფექტი საკმაოდ ართულებს ვებ-გვერდის მოხმარებას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სლაიდთან ერთად პარალელურ რეჟიმში მუშაობს სხვა ეფექტებიც, ისეთი როგორც არის ბანერის შეცვლა:



გვერდიდან გვერდზე გადასვლის პროცესში ან „მაუსის“ მიტანისას სხვადასხვა ტექსტებზე ვიღებთ უარყოფით შედეგს. ზოგადად რთულდება ვებ-გვერდზე ნავიგაცია (საჭიროა რამოდენიმეჯერე ერთი და იგივე ბმულზე დაჭერა, რომ მივიღოთ შესაბამისი ინფორმაცია), იზრდება გვერდების ჩატვირთვის დრო და ჩნდება სხვა უამრავი პრობლემა.

➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ ვებ-გვერდს გააჩნია FACEBOOK-ის ვერსია, ოფიციალური ვებ-გვერდი და FACEBOOK-ის გვერდი არ არიან ერთმანეთთან ინტეგრირებულნი, მათ მხოლოდ 1 ბმული აკავშირებთ:



➤ ონლაინ მომსახურება

ვებ-გვერდზე აუცილებელია ონლაინ სერვისების არსებობა. ვებ-გვერდიდან შესაძლებელი უნდა იყოს ბილეთის დაჯავშნა და შეძენა. ანგარიშსწორების საშუალებები შეიძლება იყოს:

- Visa / Master Card
- PayPal
- მობილურიდან თანხის გადარიცხვა
- სწრაფი გადახდის აპარატებიდან თანხის ჩარიცხვა და სხვა.

➤ ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდის მთავარი ნაკლოვანებაა მისი ჩატვირთვისა და ზოგადად მოხმარების სირთულე. როგორც შეფასების „სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი“ - ის ბლოკში ავლნიშნეთ, შეიძინევა რიგი პრობლემები, რაც უქმნის დისკომფორტს მომხმარებელს. აუცილებელია ვებ-გვერდის მოდიფიკაცია პირველ რიგში ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ვებ-გვერდი მთლიანად Flash ტექნოლოგიაზე დაყრდნობით არის შექმნილი, რაც ხელს უშლის ინფორმაციის ინდექსაციას სხვადასხვა საძიებო სისტემებში. Flash ტექნოლოგიის კიდევ ერთი

ნაკლია ჩატვირთვის სირთულე. ამავე დროს შეუძლებელია რაიმე კონკრეტული ინფორმაციის გავრცელება და გაზიარება პირდაპირ ბმულით, რადგან გვერდებზე გადასვლის დროს მთავარი ლინკი (URL) არ იცვლება და რჩება ყოველთვის საწყის მდგომარეობაში.

თუ ვიმსჯელებთ საძიებო სისტემების არსებობის კონტექსტზე, ვებ-გვერდში საერთოდ არ არის გათვალისწინებული SEO (Search Engine Optimization). პირველ რიგში უნდა გადაკეთდეს ვებ-გვერდის TITLE-ი, სადაც მხოლოდ ინგლისური წარწერაა გაკეთებული, საჭიროა ამ წარწერის ქართული ვერსიაც. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდი არ არის შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით და მასში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე ვებ-დიზაინის ტენდენციები.